

ევროპარლამენტის რეზოლუცია რუსეთის თავდასხმიდან 10 წლის შემდეგ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2018/2741)

ევროპარლამენტი,

- 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების, რომლის შუამავალიც იყო ევროკავშირი და რომელზეც ხელი მოაწერეს საქართველომ და რუსეთის ფედერაციამ, და 2008 წლის 8 სექტემბრის იმპლემენტაციის შეთანხმების, გათვალისწინებით,
- 2016 წლის 21 იანვარს მიღებული მისი რეზოლუციის, საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან ასოცირების შეთანხმებების/დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცეების შესახებ, გათვალისწინებით;
- 2017 წლის 13 დეკემბერს მიღებული მისი რეზოლუციის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ყოველწლიური ანგარიშის შესახებ, გათვალისწინებით;
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტებზე გაკეთებული ერთობლივი დეკლარაციების, კონკრეტულად 2017 წელს ბრიუსელში შეთანხმებული დეკლარაციის გათვალისწინებით,
- ევროკომისიისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის კომუნიკაციების ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ გათვალისწინებით, კონკრეტულად 2017 წლის 18 მაისის ანგარიშის ევროკავშირის ანალიზის განხორციელების (ერთობლივი(2017)0018) და 2017 წლის 9 ივნისის განახლებული სამუშაო დოკუმენტის, სათაურით „აღმოსავლეთ პარტნიორობა - 20 შედეგი 2020-ისთვის; ფოკუსი ძირითად პრიორიტეტებსა და რეალურ ცვლილებებზე“ (SWD20170300), ისევე როგორც 2016 წლის კომუნიკაციაზე „გლობალური სტრატეგია ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისათვის“,
- აღმოსავლეთ სამეზობლოში სიტუაციის თაობაზე წინა პერიოდში მიღებული რეზოლუციების, კონკრეტულად კი 2017 წლის 15 ნოემბრის ევროპარლამენტის გაწეული რეკომენდაციის საბჭოს, კომისიისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის მისამართით, 2017 წლის ნოემბრის სამიტის წინ, გათვალისწინებით,
- ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქართველოში 2008 წლის 15 სექტემბერს განლაგების გათვალისწინებით;
- ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით საქართველოში კონფლიქტის შესახებ 2009 წლის დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის გათვალისწინებით;
- რეგლამენტის წესი 123(2)-ის შესაბამისად;
- ა. საქართველო საზეიმოდ აღნიშნავს რა 1918 წელს შექმნილი პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავს და სამართლიანად ამაყობს თანამედროვე მიღწევებით;
- ბ. ევროკავშირის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მხარდაჭერის პირობებში;

გ. იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიიდან 10 წლის შემდეგაც რუსეთის ფედერაცია კვლავაც განაგრძობს საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის უკანონო ოკუპაციას, საერთაშორისო სამართლისა და მართლწესრიგის საერთაშორისო სისტემის დარღვევით; იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წელს და 2015 წელს გაფორმებული ეგრეთ წოდებული ინტეგრაციისა და მოკავშირეობის ხელშეკრულებები რუსეთსა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის, ეუთოს პრინციპებისა და რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებების აშკარა დარღვევას; იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი არ აღიარებს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტების მიერ საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში 2016 წელს და 2017 წელს ჩატარებული ეგრეთ წოდებული არჩევნებისა და რეფერენდუმის საფუძველს;

დ. ევროკავშირი კვლავაც გამოხატავს რა ნებას საქართველო-რუსეთის კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმებისა და პრინციპების სრული დაცვით მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე;

ე. რუსეთი კვლავაც განაგრძობს რა საკუთარი სამხედრო ყოფნის გაძლიერებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალი ბაზების მშენებლობის, ახალი საჯარისო ნაწილებისა და ტექნიკის შეყვანის და სამხედრო წვრთნების ჩატარების მეშვეობით;

ვ. რუსეთი კვლავაც აგრძელებს რა საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას და თავს არიდებს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების, რომლის შუამავალიც იყო ევროკავშირი, სრულად განხორციელებას;

ზ. რუსეთი აგრძელებს რა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დანარჩენი ქვეყნისგან იზოლირებას, დამატებითი გამშვები პუნქტების დახურვისა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ფიზიკური დაბრკოლებების შექმნის, აგრეთვე ქართული კულტურის აღმოსაფხვრელად კამპანიის წარმოების მეშვეობით;

თ. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხაზი ნელა მაგრამ თანმიმდევრულად მიიწევს თბილისის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში „ბორდერიზაციის“ სახელით ცნობილი პროცესის განხორციელების საშუალებით და ზოგიერთ ადგილას ძალიან უახლოვდება კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, როგორცაა საავტომობილო გზები და გაზსადენები;

ი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონებიდან აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან ეთნიკური წმენდის რამდენიმე ტალღის შედეგად იძულებით განდევნილი ასობით ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი, კვლავაც მოკლებულნი არიან მათ მშობლიურ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ძირითად უფლებას;

კ. იმის გათვალისწინებით, რომ გრძელდება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანების უფლებების უხეში დარღვევები, მათ შორის გადაადგილებისა და ცხოვრების

უფლების, ქონების უფლების და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უფლების; აგრეთვე უკანონო დაკავებები და გატაცებები;

ლ. რუსეთის ფედერაციის, რომელიც ახორციელებს ეფექტურ კონტროლს საქართველოს რეგიონებზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე/სამხრეთ ოსეთზე ადგილზე არსებული მძიმე ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სიტუაციაზე, სრული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით;

მ. იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის რუსეთის თავდასხმა იყო რუსეთის პირველი ღია შეტევა ევროპული წესრიგის წინააღმდეგ, რომელსაც მოყვა სხვა შეტევები, მათ შორის ყირიმის ანექსია და ომი აღმოსავლეთ უკრაინაში;

ნ. სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმების ძალადობრივი ქმედებების შედეგად ქართველი იძულებით გადაადგილებული პირების, ბატონი არჩილ ტატუნაშვილის, ბატონი გიგა ოთხოზორიასა და ბატონი დავით ბაშარულის სიცოცხლის უკანონოდ ხელყოფის გათვალისწინებით;

ო. იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ დაიწყო კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი ომის დანაშაულებისა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება;

პ. იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპელი ლიდერების: ლებ კაჩინსკის, პოლონეთის პრეზიდენტის, ტომას ჰენდრიკ ილვესის, ესტონეთის პრეზიდენტის, ვალდას ადამკუსის, ლიეტუვას პრეზიდენტის, ივარს გოდმანისის, ლატვიის პრემიერ მინისტრის და ვიქტორ იუშენკოს, უკრაინის პრეზიდენტის, ერთობლივი საგანგებო ვიზიტი საქართველოში საყოველთაოდ მიიჩნევა იმ მთავარ ფაქტორად, რომელმაც შეაჩერა რუსეთის სვლა თბილისისკენ, როდესაც ჯარები იმყოფებოდნენ მხოლოდ 50 კილომეტრში საქართველოს დედაქალაქიდან და ხელი შეუწყო ევროკავშირის საფრანგეთის თავმჯდომარეობის შუამდგომლობით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევას;

ჟ. რუსეთის ფედერაციის მიერ ევროკავშირის მონიტორინგის მისიისათვის საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში დაშვებაზე უარის თქმის პირობებში, რითაც მისიას ხელი ეშლება მასზე დაკისრებული ამოცანის სრულად განხორციელებაში, რაც წარმოადგენს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეული შეთანხმების დარღვევას;

1. ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების მყარ მხარდაჭერას; აღიარებს, რომ გაეროს წესდებით განსაზღვრული პრინციპები, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი და 1990 წლის ეუთოს პარიზის ქარტია წარმოადგენს მშვიდობიანი ევროპული კონტინენტის ქვაკუთხედს;
2. იმეორებს, რომ სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება წარმოადგენს ევროპული უსაფრთხოების წესრიგის ძირითად პრინციპებს, ხაზს უსვამს, რომ კონფლიქტების მოგვარება საქართველოში მნიშვნელოვანია მთელი ევროპული კონტინენტის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გასამყარებლად;

ითვალისწინებს, რომ ეს კონფლიქტები და საქართველოს ტერიტორიების მიმდინარე ოკუპაცია რჩება პოტენციურ საფრთხედ ევროპის ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისათვის;

3. მოითხოვს, რომ რუსეთის ფედერაციამ უკან წაიღოს თავისი გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე, აგრეთვე გმობს ვენესუელას, ნიკარაგუას, სირიასა და ნაურუს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას და მოუწოდებს მათ უკან წაიღონ ეს აღიარება;
4. ხაზგასმით აღნიშნავს აუცილებლობას, რომ რუსეთის ფედერაციამ უპირობოდ შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამდგომლობით მიერ მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ყველა დებულება, კონკრეტულად კი მისი ვალდებულება, რომ საკუთარი შეიარაღებული ძალები სრულად გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან;
5. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ დაასრულოს საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და სრულად სცეს პატივი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე როგორც მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ხელშეუხებლობას და შეწყვიტოს ორივე რეგიონის დე ფაქტო ინტეგრაცია რუსეთის მმართველობაში;
6. ადასტურებს ევროკავშირის მყარ ნებას შემდგომ გააძლიეროს საკუთარი როლი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში, მის განკარგულებაში არსებული ყველა ინსტრუმენტის გამოყენებით ყოვლისმომცველი მიდგომის მეშვეობით, მათ შორის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისის საკითხებზე, ჩართულობით, ევროკავშირის თანათავმჯდომარეობით ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში, ევროკავშირის მონიტორინგის მისიით საქართველოში, ისევე როგორც არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის მეშვეობით;
7. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, რომ განაგრძოს თანამშრომლობა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან და ხელი შეუწყოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურის ოფისის გამოძიებაში, აგრეთვე იმაში, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რეესტრმა აგრეთვე შეძლოს საკუთარი მანდატის შესრულება მსხვერპლებთან წვდომისა და მონაწილეობის თვალსაზრისით;
8. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას საშუალება მისცეს ევროკავშირის მონიტორინგის მისიას (EUMM)-ს ჰქონდეთ დაშვება საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საკუთარი მანდატის შესაბამისად; შეახსენებს, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისიას (EUMM) არის ერთადერთი მუდმივად მყოფი საერთაშორისო დასწრება ადგილზე, რომელიც უზრუნველყოფს მიუკერძოებელ ინფორმაციას სიტუაციის თაობაზე ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე და მოუწოდებს მისიის მანდატის გაგრძელებისაკენ 2018 წლის 14 დეკემბრის შემდეგ;

9. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეწყვიტოს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის შემდგომი ბორდერიზაცია, რაც განახორციელა მავთულხლართების და სხვა ხელოვნური დაბრკოლებების ინსტალაციის მეშვეობით; აგრეთვე შეწყვიტოს საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეღწევა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის შემდგომი გადმოწევა, ხალხებს შორის კონტაქტების ხელოვნურად ხელშეშლა და ორივე ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის იზოლირება;
10. გმობს ათობით ქართული საოფლისა და ქართული ეკლესიის მიზნობრივ განადგურებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ რეგიონებში, ისევე როგორც განძრახ მცდელობას წაიშალოს ქართული კულტურისა და ისტორიის ნაკვალევი ოკუპირებულ რეგიონებში და ასევე გმობს წინააღმდეგობრივ და დამყოფ ინიციატივებს, როგორცაა ეგრეთ წოდებული რეფერენდუმი ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სახელწოდების ცვლილების დასამკვიდრებლად 2017 წელს;
11. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას მიემხროს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პრინციპებს, და ორმხრივი გახადოს საქართველოს ცალმხრივი პირობა ძალის გამოყენებლობის თაობაზე, როგორც ეს განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ევროპარლამენტის წინაშე 2010 წლის 23 ნოემბერს;
12. მიესალმება საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივას - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“, რომლის მიზანია საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანების ჰუმანიტარული და სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, ისევე როგორც ხალხებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა და გათიშულ საზოგადოებებს შორის ნდობის შექმნა;
13. შეახსენებს რუსეთის ფედერაციას, როგორც ოკუპანტ ძალას, მისი ვალდებულებების შესახებ მოსახლეობის წინაშე და ადამიანის უფლებების დარღვევის, გადაადგილებისა და ცხოვრების თავისუფლების შეზღუდვის, დისკრიმინაციის ეთნიკურ საფუძველზე, ქონების უფლების შელახვისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეწყვეტის შესახებ;
14. გარდა ამისა, მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს დაუსჯელობა და ეთნიკურ საფუძველზე ჩადენილი დანაშაულები საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მოხსნას ნებისმიერი დაბრკოლება რათა უზრუნველყოფილი იყოს ქართველი იძულებით გადაადგილებული პირების - ბატონი არჩილ ტატუნაშვილის, ბატონი გიგა ოთხოზორიასა და ბატონი დავით ბაშარულის სიცოცხლის უკანონოდ ხელყოფაში დამნაშავეების სასამართლოს წინაშე წარდგენა;
15. მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 21 მარტს ორპარტიული მხარდაჭერით მიღებულ რეზოლუციას, რომელიც განსაზღვრავს შავ სიას სამართალდამრღვევების და პირების, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ასეთი დარღვევების დაფარვაზე (ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია) და მოუწოდებს წევრ ქვეყნებს და საბჭოს, რომ შავ სიაში შეიყვანონ ეროვნულ და ევროკავშირის მასშტაბით სანქციების მხრივ, ის პირები, ვინც არიან ან იქნებიან შესული ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში;

16. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას საშუალება მისცეს იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ლტოლვილებს უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში და უზრუნველყოს საერთაშორისო ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების შეუფერხებლად დაშვება ადგილზე;
17. კიდევ ერთხელ გმობს პროპაგანდის, დეზინფორმაციის და სოციალური მედიის ინფილტრაციის საზიანო პოლიტიკას, რომლის მიზანია დაასუსტონ დემოკრატიული საზოგადოება საქართველოში, ინსტიტუციების დისკრედიტაციის, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების, მცდარი ნარატივების გავრცელების, სოციალური დამაბულობის შექმნის და მედიაში საერთო უნდობლობის გაღვივების მეშვეობით; გმობს, ამ მიმართებით, იმ საინფორმაციო ომს, რომელსაც აწარმოებს რუსეთი, თავისი სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედია საშუალებების გამოყენებით, რათა გაავრცელოს განზრახ მცდარი ინფორმაცია და გავლენა მოახდინოს საშინაო პოლიტიკაზე და ხელი შეუშალოს ევროპული ინტეგრაციის პროცესს.
18. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის თანმიმდევრულ და მყარ პოზიციას რუსეთის ოკუპაციისა და ანექსიის პოლიტიკის წინააღმდეგ შეუძლია უზრუნველყოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება საქართველოში და მოახდინონ მსგავსი კონფლიქტების პრევენცია სამეზობლოში;
19. მოუწოდებს ევროკავშირის ინსტიტუციებს შესაბამისობაში იყვნენ ევროპარლამენტის მიდგომასა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების პოლიტიკასთან რათა გამოყენებულ იქნას უფრო ნათელი და მკვეთრი ტერმინები საქართველოში რუსეთის აგრესიის განსასაზღვრად, როგორცაა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია;
20. მოუწოდებს პრეზიდენტს გადაუგზავნოს ეს რეზოლუცია საბჭოს, ევროკომისიას და ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურს, ეუთოს, წევრ ქვეყნებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების და რუსეთის ფედერაციის მთავრობებსა და პარლამენტებს.